ნიადაგების როგორც ბუნებრივ–ტერიტორიული კომპლექსების კომპონენტების შესწავლის ზოგიერთი საკითხი

<u>რობერტ მაღლაკელიძე</u>

ელ.ფოსტა: robert.maglakelidze@tsu.ge

[1]გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 0179, ი.ჭავჭავაძის #3

ნიადაგების როგორც ბუნებრივ–ტერიტორიული კომპლექსების კომპონენტების შესწავლის დროს მისი მიწისზედა და მიწისქვეშა ნაწილის განხილვა უნდა ხდებოდეს ერთი მიდგომით. როდესაც ბუნებრივ–ტერიტორიული კომპლექსების მიწისზედა ნაწილში გეოჰორიზონტებს გამოვყოფთ დინამიკური პარამეტრების მიხედვით, ხოლო მიწისქვეშა ნაწილის განხილვისას ვაბობთ რომ გენეტიკური ჰორიზონტები, რომლებიც სტატიკური პარემეტრების საფუძველზეა გამოყოფილი ემთხვევა დინამიკურ გეოჰორიზონტებს, შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე. ნიადაგის პროფილში გამოიყოფა გეოჰორიზონტები, რომლებიც შესაბამისად მიწისზედა ნაწილის ვერტიკალური პროფილისა გამოყოფილია დინამიკური პარამეტრების მიხედვით. გეოჰორიზონტები უმეტეს შემთხვევაში არ ემთხვევა გენეტიკურ ჰორიზონტებს.